განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინა
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2021 წლის 3-4 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2021 წლის 6 დეკემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400270808
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მედიცინა
უმაღლესი განათლების საფეხური	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	არ ეხება
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობითად	ახალი

[1] ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. თუ ერთობლივი პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით, საიდენტიფიკაციო კოდისა და ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმის მითითება სავალდებულო არაა.

[2] თუ პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით და პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავებულია, მაშინ მიეთითება შესაბამისი უნივერსიტეტის კვალიფიკაცია.

აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი მიტრა ამინი შირაზის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, შირაზი, ირანი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი ჯილდა ჭეიშვილი - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ირინე ფხაკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ირაკლი გაგუა - მედიცინის დოქტორი, გაგუას კლინიკის აღმასრულებელი დირექტორი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი აბულაძე - მედიცინის სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KWIU) 2019 წელს დაარსდა. პროგრამას მხარს უჭერს ემორის მედიცინის სკოლა, რომელიც არის მაღალი რანგის და ცნობილი სამედიცინო სკოლა აშშ-ში.

ეს ახალი პროგრამა ექვსწლიანია და შედგება პრეკლინიკური და კლინიკური ეტაპებისგან. პრეკლინიკური ეტაპი მოიცავს პრესამედიცინო სწავლებას, მედიცინის საფუძვლებს, ჯანსაღი ადამიანისა და ადამიანის დაავადებების შესახებ სწავლებას. კლინიკური ეტაპი შედგება სამედიცინო მეცნიერებების გამოყენებისგან, აღმოჩენისა და გარდამავალი ეტაპებისგან.

პრესამედიცინო ეტაპი მოიცავს რამდენიმე ბლოკს, ძირითად და კლინიკურ საგნებს და ადრეულ კლინიკურ პრაქტიკას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლინიკური აზროვნების გაძლიერებაში.

კლინიკურ ეტაპში შედის: შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, მეანობა-გინეკოლოგია, ფსიქიატრია, პირველადი ჯანდაცვა, ნევროლოგია, კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინის როტაციები და ა.შ. კლინიკური სამუშაო გამოცდილების მიღება ხდება მედიცინის სხვადასხვა დარგში.

კლინიკური სწავლების ეტაპზე მიღწეული სწავლის შედეგები ეფუძნება წინა ეტაპების სწავლის შედეგებს. ცოდნისა და პრაქტიკული უნარების სათანადო განმტკიცება უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულმა ეფექტურად გადაწყვიტოს დარგის სპეციფიკური კომპლექსური პრობლემები მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრაქტიკის დროს. თითოეული კურსი სტუდენტებს აძლევს გამოცდილებას და ამზადებს მათ საზოგადოებაში პრაქტიკისთვის.

ამერიკულ სამედიცინო სკოლებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, პროგრამაში სწავლის/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას, რაც მიიღწევა

სისტემატური თანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით და პროგრამის განხორციელების ხარისხის ამაღლებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

წინამდებარე მიმოხილვა განხორციელდა საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გზამკვლევის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა დაწესებულებაში ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფი ხუთი ექსპერტისგან შედგებოდა. ჯგუფს დავალებული ჰქონდა გამოეკვლია სასწავლო პროგრამა თვითშეფასების, სხვადასხვა დოკუმენტებისა და მონაცემების გამოყენებით. გასაუბრება ჩატარდა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, ადმინისტრაციულ გუნდთან და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა შეფასების ის ნაწილები, რომლებიც ყველაზე მეტად ემთხვეოდა მათ გამოცდილებას. თუმცა ჯგუფის თითოეულმა წევრმა განიხილა ყველა დოკუმენტი დაწესებულებაში ვიზიტამდე. ვიზიტისას ჯგუფმა გარე შეფასების თაობაზე ნახა მხოლოდ დოკუმენტები, რომელთაც შეეძლო დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, თუმცა შეთანხმებულ იქნა მათი გადმოგზავნა შემდეგ დღეს. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 3-4 ნოემბერს.

დღე 1:

შესავალ განყოფილებას მოჰყვა ვიზიტები სამედიცინო სკოლის დაწესებულებებში, სასწავლო კლინიკებსა და ერთ ზოგად საავადმყოფოში.

ვიზიტები მოიცავდა სასწავლო აუდიტორიებს, სხვადასხვა მანეკენით აღჭურვილ უნარების ლაბორატორიულ ცენტრს, სტუდენტურ სივრცეებს, სასწავლო დაწესებულებებს,

ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, ელექტრონულ რესურსებს და სტაციონარული და ამბულატორიული საავადმყოფოების კლინიკებს. აკადემიურმა პერსონალმა ახსნა, როგორ მუშაობენ სტუდენტებთან და აქვთ სხვადასხვა პაციენტთან წვდომა სასწავლო გარემოში.

შეირჩა შემდეგი კლინიკური დაწესებულებები:

1- თბილისის მედიცინის ინსტიტუტის (TIM) საავადმყოფო
2- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და შპს ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი

დღე 2:

ეს დღე ჩატარდა შეხვედრების განრიგის მიხედვით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პრაქტიკოს მასწავლებლებთან, ხელმძღვანელებთან და დამსაქმებლების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს საშუალება ჰქონდა ინტენსიურად განეხილა საკითხები. მათ კითხვები დაუსვეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და წვლილი შეიტანეს უნივერსიტეტისთვის უკუკავშირის მიწოდებაში ვიზიტის დასასრულს. აღნიშნულ წარმომადგენლებთან ყველა შეხვედრისა და პროგრამის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ დისკუსიის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა პირველადი დასკვნები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზს და დოკუმენტების კრიტიკულ მიმოხილვას, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასების ანგარიში იყო კარგად სტრუქტურირებული და მკაფიო. თვითშეფასების ანგარიშში ნახსენები ყველა განცხადება ადეკვატურად იყო აღწერილი და ეფუძნებოდა შესაბამის დოკუმენტებსა და მტკიცებულებებს.

მთლიანობაში პროგრამა, ყველა ნაწილში, შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს.

- **რეკომენდაციების შეჯამება**

  არ არის მითითებული

- **რჩევების შეჯამება**

1- ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდები, როგორიცაა TOEFL ან IELTS, რეკომენდებულია უცხოელი სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან.
2- რეკომენდებულია მეტი არჩევითი კურსის შეტანა ძირითადად კვლევის სფეროში ბაკალავრიატის სამედიცინო სასწავლო პროგრამის კურიკულუმში.

3- უნივერსიტეტს ვურჩევთ, რომ დასკვნითი და შუალედური შეფასებების გასაჩივრებისთვის ჰქონდეს უფრო გამჭვირვალე მექანიზმი; საჩივრებისთვის ცალკე დანაყოფი, თავისი გზამკვლევებით, უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდიდა სტუდენტებს მათი უფლებების შესახებ.
4- გირჩევთ მომავალში ეტაპობრივად გამოყოთ მეტი ბიუჯეტი სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის.
5- გარე შეფასებისთვის რეკომენდაციას გაძლევთ ემორის უნივერსიტეტის ექსპერტების დამატებაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1- აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების ენთუზიაზმი და ძალისხმევა გადამწყვეტ როლს ასრულებს პროგრამის წარმატებაში.
2- უნივერსიტეტისა და კლინიკის მონახულებისას, შევხვდით პირებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ სტუდენტები.
3- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ასევე პროგრამის სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
4- პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით.
5- აკადემიური პერსონალი კარგად იყო მომზადებული სწავლების, სწავლის და შეფასების ახალ მეთოდებში და ა.შ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
➢ პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ მის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მედიცინის“ პროგრამა მოიცავს ორ ეტაპად დაყოფილ ექვს წელს: პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებს. პროგრამის სტრატეგიული მიზანია საერთაშორისო დონეზე კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური ექიმების მომზადება. პროგრამის მიზნებია: „1 ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების და სამედიცინო სფეროს ფუნდამენტური პრინციპების ღრმა ცოდნის გამოყენების უნარი პაციენტთა მაღალი ხარისხის მოვლაში; 2. პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემების სათანადო, შესაბამისი და ეფექტური დიაგნოსტიკა, მართვა და პაციენტზე ორიენტირებულ ეფექტურ ზრუნვაზე ყურადღების გამახვილება; 3. ეფექტური კომუნიკაცია ინტერპერსონალური და პროფესიული კომუნიკაციური უნარების გამოყენებით; 4. მონაწილეობა/თანამშრომლობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეფექტურობის გაუმჯობესებაში პაციენტზე და პოპულაციაზე ორიენტირებული ეფექტური მოვლის საშუალებით, რომელსაც სტუდენტი უზრუნველყოფს არსებული/მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესიული და ეთიკური ღირებულებების შესაბამისად; 5. სამეცნიერო და კლინიკური ინოვაციების დამოუკიდებლად მოპოვება, კრიტიკულად გაანალიზება და გამოყენება სოციალური მნიშვნელობის კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად; 6. საქმიანობის/საწარმოს უწყვეტი გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით;“ პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია და ისინი ადგენენ კურსდამთავრებულთა სასურველ მახასიათებლებს. პროგრამის მიზნების აღწერა მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს: ცოდნას, ცოდნის გამოყენებისა და ახალი ცოდნის შეძენის

უნარს, კომუნიკაციის უნარებს, თანამშრომლობას, ცოდნის სხვებთან გაზიარების უნარს და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. შემუშავებულია სასწავლო გეგმის დეტალური რუკა და თითოეული საგნის სილაბუსი, რომელიც ასახავს კრედიტებს, სწავლის მეთოდებსა და შეფასების დეტალებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება რეგულაციებს, ასევე კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2021-2027 წლების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან (ატლანტა, ჯორჯიის შტატი, აშშ) თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის ახალი პროგრამის სრულყოფილ განხორციელებას და უზრუნველყოფს, რომ ის იქნება ეფექტური და მაღალი ხარისხის. პროგრამა აგებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნებისა და სამედიცინო განათლების ეროვნული ნიშნულების მიხედვით. ნაწილობრივ ინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგიერთ არჩევით კურსს, განსაკუთრებით კი არჩევით კლინიკურ როტაციებს ემორის სამედიცინო სკოლაში მედიცინის პროგრამის სტუდენტებისთვის, რომლებიც გაივლიან შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის პირველ საფეხურს. ასევე შესაძლებელია გაცვლითი პროგრამები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს ახალი ცოდნის გავრცელებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მასწავლებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან; • კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები; • კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გრძნობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ემყარება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტებს და ეროვნულ ნიშნულებს.

პროგრამის შედეგები მკაფიო და ხარისხის დონის შესაბამისია. ნაწილობრივ ინტეგრირებული პროგრამა ადრეული წლებიდანვე უზრუნველყოფს სტუდენტებში კლინიკურ შესაბამისობაზე დაფუძნებული საჭირო ცოდნის განვითარებას. პრეკლინიკურ ეტაპზე თითოეულ მოდულში ჩართული ცალკე თემა უზრუნველყოფს ძირითადი და კლინიკური საგნების ინტეგრირებულ სწავლებას.

სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. ეს შედეგები აღწერს აუცილებელ ცოდნას, დამოკიდებულებას (პასუხისმგებლობის გრძნობას) და უნარებს, რომლებიც სტუდენტებს ექნებათ განვითარებული პროგრამის დასრულებისას. შედეგები ასევე ფოკუსირებულია სამედიცინო ეთიკასა და პროფესიონალიზმზე, კლინიკური მსჯელობის უნარებსა და განსჯაზე. ყველა დაინტერესებული მხარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები თანამშრომლობენ პროგრამისა და შედეგების შემუშავებასა და განვითარებაში.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხდება „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესების“ მიხედვით. პროგრამა ეფუძნება სათანადო მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, ახალი საჭიროებების გათვალისწინებას, რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს პროგრამის პოტენციურ განმახორციელებელებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩართულობას. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას პროგრამისა და სწავლის შედეგების შემუშავებაში, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. პროგრამაში ცვლილებების განხორციელებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა

უზრუნველყოფილი იქნება მათთან ურთიერთობითა და კონსულტაციებით, ერთობლივ ფორუმებში, პროექტებში მონაწილეობით და პროფესიული ასოციაციების სხვა აქტივობებით, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაცვას პროგრამის შემუშავების პროცესში.

სასწავლო კურსებზე სწავლის შედეგები შეფასდება საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ცოდნის სფერო ფასდება მე-6 სემესტრის ბოლოს. მულტისისტემური და ინტეგრაციული პრინციპები მოწმდება პრაქტიკის დროს. კლინიკურ სტადიაზე ფასდება ფსიქომოტორული და დამოკიდებულებების (უნარებისა და პასუხისმგებლობის) სფეროები. აკადემიური პერსონალი საკმარისად კვალიფიცირებულია, რომ მოახდინოს სწორი და სანდო შეფასება და განახორციელოს სტანდარტული შეფასებები. შეფასების სფეროებში სასწავლო პერსონალის განვითარების მრავალი შესაძლებლობა არსებობს, მათ შორის სამედიცინო განათლების ძირითადი უნარების (ESME) კურსები. შეფასების მეთოდები მოიცავს ცოდნის შეფასებას მრავალარჩევითპასუხიანი კითხვარით (MCQ) და კომპეტენციის შეფასებას ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE). სტუდენტების შეფასების, გარე შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სტუდენტების გამოკითხვა იგეგმება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ - თითოეული კურსის ფარგლებში, წინასწარ შემუშავებული კითხვარით. სტუდენტები იღებენ წახალისებას, რომ შეაფასონ პედაგოგიური პერსონალი, საგანმანათლებლო კურსები და სკოლის ადმინისტრაცია. ჩატარდება კითხვარების ანალიზი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის დაგეგმვისა და განახლებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელი და სამედიცინო სკოლის დეკანი შეხვდებიან სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პედაგოგიურ პერსონალს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რათა დადგინდეს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სწავლის შედეგების ცვლილება მოხდება ყველა შეგროვებული მონაცემების განხილვის შემდეგ.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მასწავლებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან;
- ინტერვიუები დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	*			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
➢ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია პროგრამაზე დაშვების სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მედიცინის“ პროგრამის მიღების წინაპირობა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის განხილვით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან გასაუბრებით. მიღების წესი ეყრდნობა კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებას და მოიცავს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. ვინაიდან პროგრამა ინგლისურ ენაზე ხორციელდება, სავალდებულოა ინგლისურის ჩაბარება ეროვნული გამოცდების უცხო ენის კომპონენტში. წინამდებარე რეგულაცია უზრუნველყოფს რელევანტური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დაშვებას პროგრამაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნების მიხედვით, უცხოელი სტუდენტების მიღება რეგულირდება გასაუბრებითა და მოქმედი დოკუმენტებით. თუმცა, ინგლისური ენის ოფიციალური გამოცდა არ არსებობს. მობილობა დასაშვებია ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანის წესით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მასწავლებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან; • თვითშეფასების ანგარიში; • კენ ვოლკერის სეართაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდი; • საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ".
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდები, როგორიცაა TOEFL ან IELTS, რეკომენდებულია უცხოელი სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამას ავითარებენ აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრატორები და პროფესიული ორგანიზაციები. პროგრამა წარმოდგენილია პრეკლინიკური და კლინიკური ეტაპების სახით. პრეკლინიკური ეტაპი შედგება მოსამზადებელი ეტაპისა და მედიცინის საფუძვლებისგან (ჯანმრთელი ადამიანი, ადამიანის დაავადებები). კლინიკური ეტაპი მოიცავს მედიცინის მეცნიერებათა გამოყენებას, მედიცინის მეცნიერებათა თარგმანს და აღმოჩენის ფაზას. პრეკლინიკურ ფაზას ამთავრებს „მულტისისტემური ინტეგრაციის“ მოდული, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნას პრეკლინიკურ მოდულებში და ხაზს უსვამს ინტერდისციპლინურ კავშირს. ეს მოდული არის გარდამავალი ეტაპი და მისი დასრულება გადამწყვეტია კლინიკური წლების დასაწყებად. არსებობს კურსი „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“, რომელიც მოიცავს კლინიკური უნარების, დიაგნოსტიკური პრინციპების, ეთიკური საკითხების შესწავლას და აჯამებს ყველა აუცილებელ კლინიკურ უნარს კლინიკურ ეტაპზე გადასასვლელად. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, ეს პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, რაც აუცილებელია თანამედროვე საბაკალავრო სამედიცინო განათლების ხელშეწყობისთვის. მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 360 კრედიტი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) თანახმად.

პროგრამის დაგეგმილი შედეგების მიწოდება ხდება ლექციების მეშვეობით ფუნდამენტური ბიოსამედიცინო მეცნიერებების ცოდნის გადასაცემად და მცირე ჯგუფური მუშაობისა და შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ შედეგები ყველაზე ეფექტური მიდგომებით. კლინიკური კომპეტენციების განსავითარებლად, მედიცინის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა კლინიკურ გარემოში სხვადასხვა კლინიკურ ადგილებში. ამ გზით ისინი სწავლობენ პაციენტებთან კომუნიკაციისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, დაავადების დიაგნოსტირებასა და მართვას. სტუდენტები ასევე სწავლობენ ეთიკურ და პროფესიულ პრაქტიკას, რაც მათ მომავალი კარიერისთვის ამზადებს. პროგრამა ასევე მოიცავს რამდენიმე შემუშავებულ არჩევით კურსს. პროგრამის სწავლის შედეგები კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ სამაგისტრო პროგრამაზე და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე უკვე შეძენილი კომპეტენციების ფარგლებში. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას; უნივერსიტეტის ვებგვერდზე ასევე მოცემულია პროგრამის სილაბუსები და აკადემიური კალენდარი. საერთო ჯამში, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამა სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის კომპონენტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მასწავლებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან; • თვითშეფასების ანგარიში; • კენ ვოლკერის სეართაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდი; • კურიკულუმის რუკა.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • რეკომენდებულია მეტი არჩევითი კურსის შეტანა ძირითადად კვლევის სფეროში ბაკალავრიატის სამედიცინო სასწავლო პროგრამის კურიკულუმში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ასევე პროგრამის სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია; კურიკულუმის თითოეული სასწავლო კურსი ადეკვატურია სწავლების შესაბამისი ეტაპისთვის, ეფუძნება სტუდენტების მიერ უკვე შეძენილ წინასწარ ცოდნასა და უნარებს და წარმოადგენს შემდეგი დისციპლინის შესწავლის წინაპირობას. „მედიცინის“ პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კურსი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კომპონენტის შინაარსს და უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას. ამრიგად, ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა ქმნის პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრულ შესაბამის დონეზე. კომპეტენციების რუკა ასახავს სწავლის სამ შედეგს: 1 - დასაწყისი, 2 - განვითარებადი, 3 - განვითარებული. პროგრამის კურსებისა და მოდულის სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის ტიპი (ძირითადი/არჩევითი), ECTS კრედიტები და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლის/სწავლების მეთოდები, ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, კურსის შინაარსი. კურსის მონახაზი და კრედიტების რაოდენობა, მოცულობა, საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია, შეესაბამება კურსის სპეციფიკას და ლოგიკურად არის დაკავშირებული იმავე კურსის სწავლის შედეგებთან.

კურსები/მოდულები და მათი წინაპირობები თანმიმდევრული და ლოგიკურია, ხოლო მემკვიდრეობითი კურსები დაკავშირებულია ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კომბინაციის მეშვეობით და ავითარებს სწავლის შედეგებს შემდეგ საფეხურზე. კურსით განსაზღვრული ყველა სასწავლო შედეგი გაზომვადია და ადეკვატურად არის შეფასებული. გამოყენებულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და სათანადო კრიტერიუმები. დარგის ძირითად მიღწევებზე დაფუძნებული სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სასწავლო მასალები განახლებულია, სრულად ხელმისაწვდომია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა; • კურსის კომპეტენციების რუკა; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარება
➢ სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო

და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლა და გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება იწყება პროგრამის პირველივე დღიდან და გრძელდება მთელი პროგრამის განმავლობაში ეტაპობრივად. პრაქტიკული უნარები ვითარდება სხვადასხვა დონეზე, როგორც პრეკლინიკურ, ასევე კლინიკურ სტადიაზე. პროგრამის პრეკლინიკურ ეტაპზე აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს ძირითადად კურსები „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ და „ადამიანის დაავადებები“. კლინიკურ სტადიაზე კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებას უზრუნველყოფს ძირითადი პრაქტიკული კურსები (შინაგანი მედიცინა, პედიატრია, ქირურგია, საოჯახო მედიცინა, ფსიქიატრია, მეანობა-გინეკოლოგია). კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს კლინიკური უნარების ლაბორატორია პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშესაწყობად, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთით, მანეკენის ელექტრონული სწავლების პროგრამებით და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის აუცილებელი ხელსაწყოებით. სიმულაციურ ცენტრში უკვე არის სადგურები, რომლებიც გამოიყენება როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ასევე ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდებისათვის. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ქალაქის წამყვანი სამედიცინო-დიაგნოსტიკური დაწესებულებები კონტრაქტების/მემორანდუმების საფუძველზე. უნივერსიტეტი ახორციელებს კლინიკურ საქმიანობას ოცდაათზე მეტ კლინიკაში, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტთან არის აფილირებული. საავადმყოფოებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა ჯანდაცვის პროვაიდერების განყოფილებებთან, სადაც მათ ხელმძღვანელები ეხმარებიან. პროგრამაში სამეცნიერო უნარების განვითარება იწყება პირველივე საფეხურზე და მიმდინარეობს სპირალური ფორმით. ამას ეთმობა სავალდებულო სასწავლო მოდულის ოცდაერთი კრედიტი. სტუდენტი გადის აკადემიური წერის სავალდებულო კურსს, სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკას. გარდა ამისა, ბიოეთიკის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის და სხვა კურსების სწავლება და საბაზისო მეცნიერების უნარების გამოყენება ხდება კურსის „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ სხვადასხვა სემესტრში.

პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების/პრაქტიკული კურსების უმეტესობა ითვალისწინებს მცირე კვლევითი უნარების განვითარების კომპონენტებს - ესე, აბსტრაქტი, პრეზენტაცია (PICO - პრეზენტაციები). სამეცნიერო უნარების საბოლოო განვითარება ხდება პროგრამის ბოლო წელს; წინა ორ სემესტრში (მე-11, მე-12) სტუდენტები გაიღრმავებენ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარს. სტუდენტები საფძვლიანად გაეცნობიან მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინისა და კარგი კლინიკური პრაქტიკის პრინციპებს. ისინი მოიძიებენ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს, გამოიყენებენ მონაცემთა ბაზის ანალიზის სისტემებსა და სხვადასხვა საძიებო სისტემებს, გააძლიერებენ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურისა და სამეცნიერო პროექტების კრიტიკულ მიმოხილვას. სტუდენტებმა უნდა გააკეთონ კვლევითი პროექტები, განიხილონ მონაცემები მოდულის/ეტაპის ხელმძღვანელებთან, პირად ხელმძღვანელებთან და ჯგუფელებთან და განავითარონ კრიტიკული მსჯელობა. სტუდენტები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ დაკვირვებით კვლევაზე (რაც მოიცავს კლინიკურ შემთხვევის ანგარიშებს, გამოკითხვებს, პერსპექტიულ და რეტროსპექტიულ კვლევას, ჯვარედინ კვლევას, შემთხვევის კონტროლის მეთოდებს) თავიანთი პროექტების განსახორციელებლად. ისინი ასევე იყენებენ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, როგორიცაა მონაცემთა ანალიზის სისტემები - SPSS და GraphPad Prism. აღმოჩენის ეტაპის დასასრულს, სტუდენტური პროექტები პრეზენტაციის სახით ბარდება. უნივერსიტეტი გეგმავს ფართოდ დაუჭიროს მხარი სტუდენტთა კვლევებს კონფერენციებზე მათი დასწრების ხელშეწყობის გზით. დარგობრივი და ზოგადი სასწავლო კურსები (ალფადან ომეგამდე: მსოფლიო ლიტერატურა, ცივილიზაციების ისტორია და ხელოვნების ისტორია, ფსიქოლოგია, ქართული და უცხო ენები, ასევე არჩევითი კურსები; მენეჯმენტის საფუძვლები, აშშ-ს ისტორია, სამედიცინო ანთროპოლოგია, სოციოლოგიის საფუძვლები) ემსახურება პროგრამაში ტრანსფერული უნარების განვითარებას. თითოეულ სტუდენტს ჰყავს ინდივიდუალური მრჩეველი/მენტორი მცირე ჯგუფის კოორდინატორის სახით (თითოეული კოორდინატორი პასუხისმგებელია დაახლოებით 50 სტუდენტზე), რომელიც პირადად მუშაობს თითოეულ სტუდენტთან და ეხმარება მათ უნარებისა და პროფესიულ განვითარებაში. ასევე, მათი მხარდაჭერით სტუდენტებს შეუძლიათ იზრუნონ თავიანთ კარიერულ წინსვლაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა; • კურსის კომპეტენციების რუკა; • შესაბამისი მემორანდუმები პროფილურ დაწესებულებებთან; • კონტრაქტი კლინიკებთან პრაქტიკული უნარების მისაღებად; • თვითშეფასების ანგარიში; • შეხვედრა კოორდინატორებთან/მრჩეველებთან.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- გირჩევთ მომავალში ეტაპობრივად გამოყოთ მეტი ბიუჯეტი სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

- პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამის დოკუმენტაციისა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების თანახმად, სასწავლო გეგმა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით.

აღწერენ სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც შეესატყვისება კურსის ამოცანებს და ყურადღებას ამახვილებს სწავლის შედეგებზე. სწავლების მრავალი ფორმა და მეთოდი გამოიყენება სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით. სწალების მეთოდები კარგად არის აღწერილი ყველა სილაბუსში: ინტერაქციული ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლა, პრაქტიკული სწაავლება, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სტანდარტიზებული პაციენტით სწავლება, ასევე სიმულატორებისა და მანეკენების გამოყენება, გამოცდილებით/კლინიკური პრაქტიკით სწავლება, პაციენტის საწოლთან სწავლება, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, მონაცემთა ანალიზი, დისკუსია/დებატები, დემონსტრაციული მეთოდი. თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები არის მოქნილი, შეესაბამება კურსის შინაარსსა და მის მახასიათებლებს, ასევე სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლების მეთოდები სრულად შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს და კონკრეტული სასწავლო კურსისა თუ მთლიანი პროგრამის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რათა მხარი დაუჭიროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განათლებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებისას, არის შესაძლებლობა რომ განხორციელდეს ადაპტირებული საგანმანათლებლო პროცესი/გარემო და ამ მიზნით, მხარდაჭერა შესაბამისი ადამიანური რესურსის მხრიდან. სტუდენტებისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში. ეს საჭიროებს მეტ პერსონალურ კომუნიკაციას სტუდენტებთან და მაქსიმალურ ადაპტირებას სასწავლო პროცესთან. ეს პროცესი ეფექტიანად მიიღწევა პროგრამის ადმინისტრაციული გუნდის დიდი ძალისხმევითა და უნივერსიტეტის სხვადასხვა თანამშრომლის კოორდინაციით. სტუდენტები ჩართული არიან მცირე ჯგუფურ დისკუსიებში, რომლებიც შეეხება პროფესიონალიზმს ეთიკას, კომუნიკაციას, კულტურულ მახასიათებლებს, სამედიცინო უნარებსა და პაციენტებთან ინდივიდუალურ მიდგომას. ეს დასტურდება იმ პერსონალთან გასაუბრების შედეგებით, რომლებიც მზად არიან ამ პროცესების მხარდასაჭერად.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა; • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.6 სტუდენტების შეფასება

- სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვსუ-ში სამედიცინო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას 05.01.2017 (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ) და რეგულირდება კვსუ-ს სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესით, ასევე კვსუ-ს გამოცდებისა და უნარების შეფასების ცენტრში გამოცდების ჩატარების წესებით.

სასწავლო პროცესის მსვლელობისას, შეფასების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება ცოდნისა და უნარების შესამოწმებლად. მათ შორის ზეპირი გამოცდა, ესეს შეკითხვები, მოდიფიცირებული ესეს შეკითხვები (MEQ) , MCQ (მრავალარჩევითპასუხიანი კითხვები), EMQs (გაფართოებული შესატყვისობის ერთეულები), სტუდენტური პრეზენტაციები, პროექტები, კრიტიკული კითხვა, რეიტინგული შკალა, პაციენტის მართვის პრობლემები, OSPE, OSCE, მოკლე შემთხვევის შეფასება და გრძელი შემთხვევის შეფასება, აღრიცხვის ჟურნალი, მასწავლებლის ანგარიშები, სიმულატორები, თვითშეფასება, სტანდარტიზებული პაციენტი და ა.შ. კლინიკურ წლბში სხვადასხვა მეთოდებით ხდება სტუდენტთა მოსწრების შეფასება, განსაკუთრებით 3600 შეფასების კომპონენტები - WPBA სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება - Mini-CEX (მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშო), სტრუქტურული კლინიკური დაკვირვება SCO, პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვება DOPS, შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია CBD, OSCE.

გასაუბრების დროს, აშკარა იყო, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, უზრუნველყოფილია კრიტერიუმების საჯაროობით, სათანადო მეთოდებით და ცოდნისა და უნარების შეფასების სტრატეგიებით. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტებზე და ეფუძნება აკადემიური მოსწრების საერთო მონაცემთა საშუალოს. სტუდენტთა ცოდნისა და მიღწევების შეფასების სისტემა არის ღია, გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ითვალისწინებს სპეციფიურობას, დარგისა და აკადემიური კურსის მახასიათებლებს, ასევე მოიცავს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასების ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს.

უნივერსიტეტს აქვს გარკვეული მექანიზმი დასკვნითი ან შუალედური შეფასებების გასაჩივრებისთვის; თუმცა, საჩივრებისთვის ცალკე დანაყოფი, თავისი გზამკვლევებით, უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდიდა სტუდენტებს საკუთარი უფლებების შესახებ.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • უნივერსიტეტს ვურჩევთ, რომ დასკვნითი და შუალედური შეფასებების გასაჩივრებისთვის ჰქონდეს უფრო გამჭვირვალე მექანიზმი; საჩივრებისთვის ცალკე დანაყოფი, თავისი გზამკვლევებით, უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდიდა სტუდენტებს მათი უფლებების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,	✳			

პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება				

3. სსტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ახორციელებს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები
➢ სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კვსუ-ს აკადემიური პერსონალი უაღრესად მოტივირებულია, რომ უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სწავლება და დაეხმაროს სტუდენტებს სწავლაში. პირველკურსელებს მიეცემათ სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის, პროგრამისა და კურსების შესახებ. უნივერსიტეტში ზეპირი პრეზენტაციები ჩატარდება იმისათვის, რომ სტუდენტებს დაეხმაროს ახალ გარემოსთან ადაპტაციაში, სწავლების პირველ წელს. უნივერსიტეტი გეგმავს რომ საქართველოს კულტურა ნათელი გახადოს პირველკურსელებისთვის, რათა მათ შეუქნას მაქსიმალური კომფორტი და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. უნივერსიტეტთან ასოცირებული კლუბები შეიქმნება სტუდენტთა მხარდასაჭერად, ღონისძიებების განხორციელებისა და საზოგადოების განვითარების კუთხით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დანიშნავს კოორდინატორს ყოველი 15 სტუდენტისთვის. კოორდინატორის მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს სრული მხარდაჭერა სტუდენტებისთვის. ინგოროყვას კლინიკაში განხორციელებული ვიზიტისას, გვქონდა შესაძლებლობა გვენახა სტუდენტებისთვის განკუთვნილი მცირე აუდიტორიები. ინგოროყვას დირექტორმა განაცხადა, რომ ერთ ოპერაციას უნდა დაესწროს 2-3 სტუდენტი, რადგან რამდენიმე საოპერაციო ოთახია ხელმისაწვდომი. კვსუ გეგმავს რომ უზრუნველყოს სწავლება, სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად, საერთაშორისო აქტივობების კუთხით. მთავარი მიზანია იმის დაზუსტება, თუ როგორ

დაეხმარება ესეთი აქტივობები კარიერასა და მათ მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ემორის უნივერსიტეტთან, იმ სტუდენტთა თავისუფალი როტაციის თაობაზე, რომელთაც უკვე ჩაბარებული აქვთ USMLE 1 ნაბიჯის გამოცდა. როტაციათა მთავარი კრიტერიუმი არის მაღალი GPA. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი გეგმავს გამოკითხვების უზრუნველყოფას, რათა შეაფასოს შესწავლილი კურსები და სტუდენტთა სერვისები, წელიწადში ორჯერ. შეხვედრის დროს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა განაცხადეს, რომ ყველაზე დიდი გამოწვევა მათ სამსახურში იქნება შეფასებაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა. მათ შესაძლოა თავდაპირელად ვერ გაიგონ, თუ რამდენად არსებითი მნიშვცნელობისაა ეს პროგრამის განვითარებისთვის. სტუდენტები გამოიყენებენ პორტფოლიოს უნიკალურ სისტემას, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა და კლინიკური უნარები. კვსუ-ს აკადემიურმა პერსონალმა იცის ამ მექანიზმის შესახებ და მოხარულნი არიან დაეხმარონ სტუდენტებს, რათა მათ შეიტყონ მეტი საკუთარი სისუსტეების შესახებ. აკადემიური პერსონალი გეგმავს რომ სილაბუსები მკაცრად დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში, მეტი მოქნილობისთვის, განიხილოს ცვილებები პროგრამის ხელმძღვანელთან.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში- კვსუ მედიცინა; • გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორებთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; • სტუდენტების ელექტრონული პორტალი ელექტრონული სწავლა
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
➢ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✳			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტთა დასახმარებლად საჭირო კომპეტენციები; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი პირადად არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში; ➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელსაც აქვს საჭირო კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასასვლელად. აკადემიური პერსონალი, რომელიც ახორციელებს პროგრამას, შედგება - პროფესორებისგან, ასოცირებული პროფესორებისგან, ასისტენტ პროფესორებისგან და ასისტენტებისგან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; სულ 137 თანამშრომელია პროგრამაზე: თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია 48 აკადემიური (21 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ პროფესორი, 6 ასისტენტი, 4 აფილირებული პროფესორი) და 89 მოწვეული სასწავლო პერსონალი (შეფარდება 1,0:1,8); სასწავლო პროცესში ჩართული საერთაშორისო აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 6, რეზიუმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაციები შეესაბამება თანამდებობისთვის მოთხოვნილ კვალიფიკაციებს. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად მსვლელობასა და სამეცნიერო კვლევით საქმიანობების სათანადო აღსრულებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გათვალისწინებული თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან სავსებით საკმარისია პროგრამის აკადემიური მხარდაჭერისა და მდგრადობისთვის, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინების შემთხვევაშიც (ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულია მაქსიმუმ 600 სტუდენტი).

პერსონალის შეფასებები ხდება ყოველ წლიურად უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ. აკადემიური პერსონალის პროგრამაში ჩართულობის აღწერა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტუდენტთა, მოწვეული და აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას, ჩამოთვლილი კრიტერიუმები მიიღება მხედველობაში, რომლებიც სრულად დაკმაყოფილებულია უნივერსიტეტის მიერ:

- აკადემიური პერსონალის რაოდენობა უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტთა შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობასთან და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/12.
- მოწვეული პერსონალის რაოდენობა უნდა იყოს ადეკვატური სტუდენტთა მაქსიმალურ შესაძლო რაოდენობასთან და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/12.
- თითოეულ პროგრამას უნდა ჰყავდეს სულ მცირე ოთხი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, სულ მცირე ერთი აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
- მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან არ უნდა აღემატებოდეს 1/4.
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობასთან არ უნდა აღემატებოდეს 1/50.

გარდა ამისა, მოთხოვნილი დოკუმენტები, რომლებიც კვსუ-მ ატვირთა, მოიცავდა დანართ 2.3-ს სახელად „საათობრივი დატვირთვა“, რომელიც აღწერს ფაკულტეტის ზუსტ სამუშაო საათებს (ლექცია/პრაქტიკუმი, კვლევა, კონსულტაცია, ფაკულტეტის განვითარება). ამ თანდართული დოკუმენტის თანახმად, კვირაში პროფესორების საერთო საათების რაოდენობა არის - 12 საათი, ასოცირებული პროფესორების - 14 საათი, ასისტენტ პროფესორების - 16 საათი, ასისტენტებისთვის - 18 საათი, ხოლო აფილირებული პერსონალისთვის - 28 საათი. ეს რესპოდენტებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს.

პროგრამის ადამიანური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუების დროს, დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ სათანადო ცოდნას და კომპეტენციას, რათა უხელმძღვანელონ პროგრამას, მონაწილეობა მიიღონ მის შემუშავებაში, განვითარებასა და განხორციელებაში და მათი გამოცდილებაც სათანადოა პროგრამის ჩამოყალიბებისთვის. ხელმძღვანელები პირადად არიან ჩართული, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, პროგრამის განვითარებაში.

სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე სპერსონალით (რაოდენობა - 29 თანამშრომელი), რომლებიც მზად არიან აღმოუჩინონ კვალიფიციური კონსულტაცია სტუდენტებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და შექმნან მეგობრული, ტოლერანტული და სტუდენტზე ორიენტირებული გარემო.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში;
- პერსონალის რეზიუმეები;
- პერსონალთან და დამსაქმებლებთან შეხვედრა.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

1- აკადემიური პერსონალის და პედაგოგების ენთუზიაზმი და ძალისხმევა გადამწყვეტ როლს ასრულებს პროგრამის წარმატებაში.
2- უნივერსიტეტის და კლინიკის მონახულებისას, შევხვდით პირებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ სტუდენტები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვსუ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. უნივერსიტეტი მუმდივად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების სისტემა ეფუძნება პერსონალის განვითარებასა და მოტივირებას. პერსონალის შეფასება ემსახურება პერსონალისა და მისი განვითარების მხარდაჭერას, რათა მიღწეულ იქნას უნივერსიტეტის წარმატება. უნივერსიტეტი ერთმანეთისგან გამიჯნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებისგან.

პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად, უნივერსიტეტი ატარებს აქტივობებს, როგორებიცაა მივლინებები ემორის უნივერსიტეტში (შტატებში), მათი პროფესიული განვითარებისთვის და ასევე აფინანსებს უცხო ენის შემსწავლელ კურსებს. ზოგიერთი სხვა აქტივობა, როგორიცაა წარმატებული გამომსვლელების მოწვევა, ასევე დასახელდა გასაუბრების დროს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღწერენ კვლევის დაფინანსების პროცედურებს, მათ შორის საგრანტო კონკურსების გამოცხადებას და უნივერსიტეტის მიერ პირდაპირი განაცხადის საფუძველზე დაფინანსებას.

წელიწადში ორჯერ, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს საგრანტო კონკურსს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების შესაბამისად და უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის მიერ კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად აფასებს პერსონალის სამეცნიერო კვლევით და აკადემიურ აქტივობებს, სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახურთან, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურთან კოორდინირებით. შეფასება მოიცავს სამეცნიერო გამოცემებს, მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში კონგრესებსა და სხვა.

აკადემიური პერსონალის აფილირების კუთხით, უნივერსიტეტის პოლიტიკა მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის უმეტესობა აფილირებული იყოს უნივერსიტეტთან.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების პირობები და ვადები;
- უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერის მექანიზმები და დაფინანსების წესი;
- უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

აკადემიური პერსონალი კარგად იყო მომზადებული სწავლების, სწავლის და შეფასების ახალ მეთოდებში და ა.შ.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.3 მატერიალური რესურსები

- პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე, მაღალი დონის ინფრასტრუქტურა. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რაც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის. უნივერსიტეტი ფლობს არსებით ტექნიკურ და მატერიალურ რესურსს, რათა განახორციელოს პროგრამა, აქვს სარეკრეაციო ზონა, გამწვანებული ეზოები, ღია სტადიონი მინი ფეხბურთით.

არსებული გარემო სრულად მორგებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე და შშმ პირებზე. უნივერსიტეტში არის ლიფტები, პანდუსები, სველი წერტილები, ასევე სპეციალური პარკინგი შშმ პირებისთვის, რომელიც შენობასთან ახლოს არის მოწყობილი. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სტუდენტებისთვის განკუთვნილი ცალკე შესასვლელი პანდემიის გამო დაკეტილია. ასევე სტუდენტებისთვის განკუთვნილია ლიფტი.

კლინიკური უნარების ოთახი აღჭურვილია კომპიუტერული, მაღალ-ეფექტიანი სიმულატორებითა და ელექტრონული სწავლების პროგრამით. უნივერსიტეტის უნარების ცენტრში განხორციელებული ვიზიტისას პერსონალმა აღწერა სასწავლო პროცესი და თითოეული მოწყობილობის შესაძლებლობა. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი სრულად აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, კონდიცირება-გათბობა-ვენტილაციის თანამედროვე სისტემით. საკლასო ოთახების უმეტესობა აღჭურვილია პაციენტთან კომუნიკაციისა და მისთვის გამოკვლევის ჩატარების ყველა აუცილებელი ტექნიკით. ეს ოთახები გამოიყენება OSCE გამოცდებისთვის. შესაძლებელია საგამოცდო პროცესის ჩაწერა სამეთვალყურეო კამერებით.

უნივერსიტეტში მოწყობილია ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო მოთხოვნებს.

კვსუ, კონტრაქტებზე/მემორანდუმებზე დაყრდნობით, ახორციელებს სწავლებას, კლინიკურ და კვლევით საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციაში.

ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა კლინიკები, რათა ჰქონოდა ზოგადი წარმოდგენა თუ როგორ ხორციელდება პროცესები. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი კლინიკა არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალი. როგორც იკრვევა, ზოგიერთი საკლასო ოთახი განკუთვნილია ორივე უნივერსიტეტისთვის.

თუმცა, არის უშუალოდ კვსუ-ს სტუდენტებისთვის განკუთვნილი საკლასო ოთახები, რომელთაც აღმნიშვნელი წარწერა აქვთ კარზე.

შესაბამისად, მეორე ჰოსპიტალი - TIM, არის აფილირებული ჰოსპიტალი და მხოლოდ ამ დაწესებულების სტუდენტებს იღებს, რაც დადებითი ფაქტორია.

უნივერსიტეტს ბერიტაშვილის ექსპერიმენტულ კვლევით ცენტრთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი და ეს დოკუმენტი დამატებით იქნა წარმოდგენილი.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვს წვდომა ჩამოთვლილ მონაცემთა ბაზებზე: - Questia (MedicineNet (MedPix, EMedicine (ბრიტანული სამედიცინო ჟურნალი (BMJ); პროგრამით სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული სახით. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის კვირაში 6 დღე, 60 საათი. სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა ეფექტურად მუშაობს. გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც კარგად ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები;
- ადგილზე ვიზიტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- იჯარის კონტრაქტი;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- სწავლის პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის პროგრამის განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, მოცემულია თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტებში. უნივერსიტეტმა შეიმუშავა საპროგნოზო ბიუჯეტი რამდენიმე წლისთვის და ის წლიდან წლამდე იზრდება სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად. ასევე, ბიუჯეტი ორიენტირებულია

უნივერსიტეტის ფინანსური რესურსის გამოყენებაზე, ორგანიზაციის მთავარი საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის. უნივერსიტეტის არსებული ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური პროცესების რეგულირება გათვალისწინებულია მის მართვაში; ეს მოდელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული აქტივობების რეალიზებას. ბიბლიოთეკისა და ლაბორატორიის გასაუმჯობესებლად ყოველწლიურად მნიშვნელოვანი რაოდენობის თანხა გამოიყოფა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განმსაზღვრელი დოკუმენტი. დოკუმენტი დანერგილია, უნივერსიტეტის ფინანსური პროცესების მარეგულირებელ საშუალებად. იგი წარმოადგენს უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ძირითად ელემენტებს, მის განთავსებას და განსაზღვრავს ფუნქციებსა და განვითარების საკითხებს. უნივერსიტეტში მოქმედებს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა. მისი მიზანია, შეაფასოს საქმიანობის ის რისკები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ საგანმანათლებლო საქმიანობაზე. ასევე, მიზანია პოლიტიკის, გეგმების და პროცედურების ჩამოყალიბება, რათა მინიმალურ დონემდე შემცირდეს ზემოთხსენებული რისკები.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები • გასაუბრებები; • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის დებულება; • უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის წესი; • უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა; • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • უნივერსიტეტის დამფუძნებლის შეხვედრის ანგარიში ინვესტიციების თაობაზე.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	✳			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
➢ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის განვითარება ხორციელდება მუდმივად, PDCA ციკლზე დაყრდნობით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა (დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #0221-11, 10 თებერვალი 2021) მოიცავს შემდგომ წესებს: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და სწავლა-სწავლება • პერსონალის საქმიანობათა ხარისხის უზრუნველყოფა • სამეცნიერო კვლევითი საქმიანობების ხარისხის უზრუნველყოფა • მართვის პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა • სერვისების და რესურსების ხარისხის უზრუნველყოფა

- საზოგადოების განვთარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული საქმიანობების ხარისხის უზრუნველყოფა
- ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის: სტუდენტების გამოკითხვას, სასწავლო პროცესისა და საგამოცდო მასალების მონიტორინგს, გამოცდების, აკადემიური მოსწრების ანალიზს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, სამეცნიერო კვლევითი აქტივობების შეფასებას და ა.შ.

თვითშეფასების ჯგუფი მოიცავს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პოტენციურ დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და სხვა. თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში, ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალი მონაწილეობდა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. დაგეგმილია თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით.

გასაუბრების დროს, მტკიცე თანამშრომლობა გამოვლინდა უნივერსიტეტს, ფაკულტეტსა და ადმინისტრაციის დეპარტამენტებს შორის.

წარმოდგენილია შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების რამდენიმე მაგალითი, მათ შორის: სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; პროგრამას დაემატა ახალი მოდულების განხორციელება.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეცვლისა და შეწყვეტის წესი;
- შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

- პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმებისა და მათი ეფექტიანობის თანახმად (დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #0221-11, 10 თებერვალი 2021), პროგრამის უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ეფექტურად.

უნივერსიტეტმა მიიღო გარკვეული რჩევები ავტორიზაციის ექსპერტებისგან (22.07.21-733705)

1. უნივერსიტეტი ჩაატარებს ბაზრის კვლევას და დასაქმებულთა მოთხოვნების ანალიზს და გამოიყენებს ძირითად მიგნებებს დაგეგმვისთვის.
2. უნივერსიტეტი გაზრდის თანამშრომლობას დასაქმებულებთან.
3. უნივერსიტეტი გააუმჯობესებს ინტეგრაციას კლინიკურ სიმულაციასა და საავადმყოფოს გარემოსთან.
4. უნივერსიტეტი გააუმჯობესებს სამეცნიერო კვლევით მიდგომას.

მერაბ შ.-მ წარმოადგინა გარე შეფასება. M.D. Ph.D. პროფესორი (თელ ავივის უნივერსიტეტი) სეკლერის მედიცინის სკოლა.

პროფესორები გასაგებად აღწერენ პროგრამის ამოცანებს, სასწავლო გეგმას, სწავლის შედეგებს, მისაღებ კრიტერიუმებს, სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდებს და ა.შ. ექსპერტები ხაზს უსვამენ კვსუ-ს და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მიერ ჩამოყალიბებულ ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას გარე შეფასებაში. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ კლინიკურ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებზე, ვიზუალურ კომუნიკაციაზე და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. ექჰსერტებს აქვთ მხოლოდ ორი რეკომენდაცია - საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციასთან დაკავშირებით და მოულოდნელ სიტუაციებში უნივერსიტეტის ხედვასთან დაკავშირებით

(ფართო გეგმა). გარე შეფასების რეკომენდაციები და კომენტარები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გარე შეფასება;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- გარე შეფასებისთვის რეკომენდაციას გაძლევთ ემორის უნივერსიტეტის ექსპერტების დამატებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისა და მათი ეფექტიანობის თანახმად (დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #0221-11, 10 თებერვალი 2021) პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხდება რეგულარულად. შეფასება ხდება სტუდენტების, ლექტორების, დაინტერესებული მხარეების და კურსდამთავრებულების მიერ.

დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის და მათი ეფექტიანობა“ მოიცავს შიდა და გარე შეფასებას, რაც გულისხმობს: პროგრამის შეფასებას, სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებას, პერსონალის შეფასებას, სამეცნიერო კვლევითი პროცესის შეფასებას, რესურსებისა და სერვისების შეფასებას, საზოგადოებაში წვლილის შემტანი პროცესების შეფასებას.

დამატებითი დოკუმენტი შეიცავს კითხვას, სადაც სიღრმისეულად არის ხაზგასმული თითოეული დავალების შეფასების კრიტერიუმები.

გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა რამდენიმე დაინტერესებულ მხარეს (საჯარო ჰოსპიტალის ხელმძღვანელს, სარეაბილიტაიცო ჰოსპიტალის ხელმძღვანელს და სხვა) და აკადემიურ პერსონალს. აშკარა იყო, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის ჩამოყალიბების პროცესში.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა (დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით #0221-11 , 10 თებერვალი 2021);
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, განათლების საფეხური: მედიცინა
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	*			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება	*			
3. სსტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	*			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიტრა ამინი

ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ჯილდა ჭეიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე ფხაკაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი გაგუა

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი აბულაძე